ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესამისად, და თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილის (#10/9676) პასუხად, წარმოგიდგენთ ჩემი, როგორც ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარისა და ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ, 2017 წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

პატივისცემით,

რამინა (რიმა) ბერაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარე, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

რამინა (რიმა) ბერაძის 2017 წლის ანგარიში

ფრაქციული მუშაობა

მე-5 მოწვევის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ ყველაზე დიდი ფრაქციაა და 19 წევრისაგან შედგება. ზ/ა ფრაქციამ ფუნქციონირება 2014 წლის აგვისტოში დაიწყო. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მუშაობის საჯაროობის, დამოუკიდებლობის, ნებაყოფლობითობისა და თანასწორობის პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ ფრაქციის წევრთა 21% ქალია. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ მომავალი მოწვევის საკრებულოში ეს მაჩვენებელი უფრო გაიზრდება.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იკრიბება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება. 2017 წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით) ფრაქციას ჩატარებული აქვს 10 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 10 საკითხი. მათ შორის:

- ქ. თბილისში გარე ვაჭრობისაგან შექმნილი მდგომარეობის ანალიზი და რეკომენდაციის შემუშავება.
- დედაქალაქში პარკირების საკითხების მოგვარება და ამ მიზნით თბილისის საკრებულოში პარკირების საკითხზე მომუშავე ჯგუფის შექმნა.
- ტაქსების სფეროს რეგულირება _ რეგულაციების შესახებ მერიიდან მოწოდებული სამუშაო დოკუმენტის განხილვა.
- „ბავშვთა სამყაროს" ხანძრით დაზარალებულების კომპენსაციები.
- ბიუჯეტის პრიორიტეტები - მისი განხილვა და ანალიზი. მასში ცვლილებების შეტანა და სხვა მნიშვნელოვანი თემები.

2017 წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით) ჩემი, როგორც ფრაქციის თავმჯდომარის სახელზე, შემოსულია 23 განცხადება. ყველა მათგანზე მოვახდინეთ რეაგირება და უმეტეს შემთხვევაში საკითხი მოქალაქის სასარგებლოდ გადაწყდა.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოში მივიღე 93 მოქალაქე. შეხვედრებზე განსახილველი საკითხების თემატიკა იყო მეტად ფართო: მიწისა და საცხოვრებელი ფართების დაკანონება, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირება, მედიკამენტების, ოპერაციებისა და სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსება და სხვა. მომსვლელთა 90%-ისთვის, შუამდგომლობის საშუალებით, პრობლემების მოგვარება მოხერხდა. დარჩენილი 10% საკითხებისა, სამწუხაროდ, სცდებოდა ჩვენს კომპეტენციასა და შესაძლებლობებს. თუმცა, მათაც მიეცა შესაბამისი რეაგირება და საკითხები შესაბამის სამთავრობო უწყებებში გადაიგზავნა.

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2017 წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), დავესწარი საკრებულოს 18 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ, მოწვეული იქნა 19 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 420 განკარგულება და 68 დადგენილება (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულებების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხ. თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge).

კანონის შესაბამისად, გახლავართ თბილისის საკრებულოს ორი კომისიის წევრი. აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და საქმიანობაში.

1. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ, საანგარიშო პერიოდში, ჩაატარა 12 სხდომა, რომელზეც განვიხილეთ 14 საკითხი. 2017 წელს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ დაამტკიცა ჯანმრთელობის დაცვის 8 და სოციალური დაცვის 24 ქვეპროგრამაში შესატანი უმნიშვნელოვანესი ცვლილებები. მაგალითად, გაიზარდა შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსება გაიზარდა 300 000 ლარით.
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამას დაემატა 500 000 ლარი.
- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის დაფინანსება გაიზარდა 1 000 000 ლარით, რაც განპირობებულია იმ პაციენტთა დიაგნოსტიკის ხარჯების ანაზღაურებით, რომელიც დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2017 წელს.
- ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის დაფინანსება გაიზარდა 400 000 ლარით.
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგამას დაემატა 4 000 000 ლარი.
- მოქალაქეთა მოთხოვნების რაოდენობიდან გამომდინარე გაიზარდა ქვეპროგრამის, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში დაფინანსება 550 000 ლარით.

❖ გაუმჯობესდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა.

2. ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 24 სხდომა, რომლიდანაც ვესწრებოდი 22 სხდომას. სხდომებზე, ჯამში, 168 საკითხი განვიხილეთ.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში საქმიანობის მთავარ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ ჩვენ შევძელით და შევქმენით დედაქალაქისა და მისი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტი, რომელშიც ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე შეგვქონდა შესაბამისი ცვლილებები. დღესდღეობით, ბიუჯეტი არის გამჭირვალე და დედაქალაქის საჭიროებებზე მორგებული.

მივლინებები

1. 2017 წლის 9-11 მაისს, ვიმყოფებოდი კვიპროსის დედაქალაქ ნიკოზიაში, სადაც, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მთავრობის დელეგაციის სტატუსით ვესწრებოდი. ფორუმზე ყველაზე მდგრად პროექტებს შორის EBRD-მა თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების პროექტი შეარჩია და გარემოსდაცვითი და სოციალური ინოვაციების პროექტების ნომინაციაში პირველი ადგილი მიაკუთვნა.
2. მ/წლის 30 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით, ანაზღაურების გარეშე მივლინებაში ვიმყოფებოდი ქ. ბათუმში, სადაც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), და შვედეთის მთავრობის ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობა" ფარგლებში, ჩატარდა კონფერენცია თემაზე _ „ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა", რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი"-ს მოწვევით ვესწრებოდი. ზ/ა კონფერენციაზე წარვადგენე მოხსენება თემაზე _ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი და მიღებული გამოცდილება".
3. მ/წლის 10-13 აგვისტოს პერიოდში, ანაზღაურების გარეშე მივლინებით ვიმყოფებოდი ქ. ქობულეთში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისათვის ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომლის მთავარი თემა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და იმპლიმენტაციის ასპექტები" იყო. მივიღეთ ინფორმაცია ოჯახში ძალადობისგან დამცავი მექანიზმების შეფასების, იდენტიფიცირებისა და ფაქტებზე რეაგირების შესახებ, მიმოვიხილეთ ამ კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა. ვისაუბრეთ დაცვის მექანიზმებზე და არსებულ გამოწვევებზე.

კონფერენციის მიმდინარეობისას, მონაწილეებმა ერთმანეთს ქალთა მიმართ ძალადობის ჩვენს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები გავაცანით. ვისაუბრეთ ამ კუთხით თბილისის საკრებულოს გამოცდილებასა და საგთხის მიმართ მიდგომებზე. დამსწრეებს გავაცანით ჩვენ მიერ შექმნილი „გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნის მიზანი და მუშაობის სპეფიციკა.

კონფერენციას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები, ამ საკითხებზე მომუშავე

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდნენ.

აქტივობები და ღონისძიებები

მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს მიერ ორგანიზებულ თითქმის ყველა ღონისძიებასა თუ აქტივობაში. აღვნიშნავთ დედაქალაქისთვის მნიშვნელოვან დღესასწაულებს. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მოწვევით ვმონაწილეობ კონფერენციებსა და ტრენინგებში, ვეცნობით სიახლეებს და ვუზიარებთ საქმიანობის გამოცდილებას.

- 2017 წლის 15 სექტემბერს, ორგანიზაცია „საქმიან ქალთა გაერთიანების" მოწვევით, ქალთა გლობალურ ბიზნეს-ფორუმში სპიკეტის სტატუსით მივიღე მონაწილეობა. ფორუმი მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-მდე წარმატებული ქალი მეწარმისათვის საქართველოს ბიზნეს პოტენციალის გაცნობას. ღონისძიებაზე წარვადგინე მოხსენება თემაზე – "თვითმმართველობის როლი ბიზნესის განვითარების პროცესში - ხელშეწყობის მექანიზმები", სადაც ვრცლად ვისაუბრე თბილისის ეკონომიკურ პოტენციალზე და თვითმმართველობის მზაობაზე ხელი შეუწყოს დედაქალაქში ბიზნეს სექტორის განვითარებას.

ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოსა" და „მუნიციპალური საბჭოს" წევრი.

თბილისის საკრებულოში გენდერული საკითხებზე სისტემური მუშაობის მიზნით, 2016 წლის 1 ნოემბერს შევქმენით „გენდერული თანასწორობის საკოორდინაციო საბჭო".

საბჭოს საკრებულოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და მისი წევრობა ნებადართულია საკრებულოს ყველა დეპუტატისთვის. მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ასევე შეუძლიათ გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, ექსპერტებსა და მეცნიერებს.

საბჭოს საქმიანობის ფარგლებში, მისი წევრები მონაწილეობას იღებდნენ გენდერული კუთხით ორგანიზებულ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ აქტივობებსა და სწავლებებში.

მაგალითისთვის, გენდერული საბჭოს წევრი და თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე, თავმჯდომარის მოადგილე თამარ ტალიაშვილი და ფრაქციის დეპუტატები აქტიურად მონაწილეობდნენ „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“-ს, NDI-ს, NALAG-ის (საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, ტრენინგებსა და პროექტებში.

სამუშაო შეხვედრებზე შემუშავებულ იქნა არაერთი დოკუმენტი. მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გენდერული საბჭოს ერთობლივი მუშაობის შედეგად, შეიქმნა და 2017 წლის 3 თებერვალს, დამტკიცდა თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია, რომელმაც კონკრეტულად განსაზღვრავს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს 2017-2020 წლების პერიოდისათვის. უკვე მომზადებულია და სულ მალე დამტკიცდება სტრატეგიის მიხედვით შემუშავებული 2017-2020 წწ. სამოქმედო გეგმაც.

სამაჟორიტარო საქმიანობა

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წლიდან საკრებულოში ჩუღურეთის რაიონს წარმოვადგენ. რაიონში 100 000-მდე მაცხოვრებელი და 58 635 ამომრჩეველია. ჩვენი რაიონი დედაქალაქის უძველესი უბანია და ამდენად ყველაზე დიდ პრობლემად მაინც ინფრასტრუქტურული ფონი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რჩება. ჩვენც ყველაზე დიდ ყურადღებას სწორედ ამ საკითხების მოგვარებას ვუთმობთ.

მთელი სამაჟორიტარო პერიოდის განმავლობაში, ჩემი მიზანი იყო ვყოფილიყავი ახლოს ხალხთან და დავხმარებოდი მათ პრობლემების მოგვარებაში. როგორც იცით, ტრადიციულად, ყოველი კვირის ოთხშაბათი ჩემს სამაჟორიტარო ოფისში მოქალაქეთა მიღების დღეა. 2017 წლის საანგარიშო პერიოდში, 1 850 მოქალაქე მივიღე. თუმცა, ამის პარალელურად თითქმის ყოველდღიურად გავდივართ მისამართებზე, სადაც რაიმე პრობლემაა და ადგილზე ვხვდებით მოქალაქეებს.

ამ ხნის განმავლობაში ბიუროში შემოსულია 1053 წერილი და გაკეთებული გვაქვს ამდენივე შუამდგომლობა, კერძოდ:

- ერთჯერადი სოციალური დახმარება _ 283 შუამდგომლობა (ყველა დაკმაყოფილებულია).
- მედიკამენტური მკურნალობა _ 228 შუამდგომლობა (ყველა დაკმაყოფილებულია).
- სამშენებლო მასალები _ 210 შუამდგომლობა (დაკმაყოფილებულია 200).
- შეშით უზრუნველყოფა _ 15 შუამდგომლობა (ყველა დაკმაყოფილებულია).
- მკურნალობა, გამოკვლევა, ოპერაცია _ 50 შუამდგომლობა (ყველა დაკმაყოფილებულია).
- სოციალური ქულების გადამოწმება _ 27 შუამდგომლობა (დადებითად გადაწყდა 20).
- ბუგორის დამონტაჟება _ 18 შუამდგომლობა (ყველა დაკმაყოფილებულია).
- გამრიცხველიანება _ 6 შუამდგომლობა (დადებითად გადაწყდა 5).
- კომუნალური გადასახადების ჩამოწერა _ 10 შუამდგომლობა (ყველა დაკმაყოფილებულია).
- ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოთხოვნა (გამაგრება, ეზოს მოასფალტება, გრუნტის დამჭერი კედელი,...) _ 206 შუამდგომლობა (დადებითად გადაწყდა 190).

ღონისძიებები და აქტივობები

ამის გარდა, სწრაფი და ეფექტურად მუშაობისთვის შექმნილი გვაქვს ე.წ. სამიზნე ჯგუფები. აქ ვაერთიანებთ ადამიანებს, რომელთაც ჩვენგან განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ (მაგალითად: შშმ პირები, მრავალშვილიანი დედები, ხანდაზმული ადამიანები, ახალგაზრდები, პრობაციონერი ქალები, სოციალურად შეჭირვებული ადამიანები...). მათ დასახმარებლად აქტიურად ვთანამშრომლობთ არასამთავრობო და კერძო სექტორთან და მათთან ერთად ვმართავთ საქველმოქმედო აქციებს ამ ადამიანების დასახმარებლად (საახალწლო და სააღდგომო ნობათი, მათთვის საჭირო ნივთების გადაცემა..)

- არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რაიონში მცხოვრები ქალებისათვის პერმანენტულად ვატარებთ უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქციებს.
- უკვე ტრადიციად დავამკვიდრეთ და ყოველწლიურად ჩუღურეთის რაიონში მასშტაბურად აღვნიშნავთ გაზაფხულის ქალთა დღესასწაულებს.

- ახალგაზრდებისათვის, რომელთაც წარჩინებით დაასრულეს სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, გავმართეთ დაჯილდოვების ცერემონია.
- როგორც იცით, ჩვენს რაიონში, 9 ძმის ქუჩაზე, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, სკოლების ოპტიმიზაციის არასწორი პოლიტიკის შედეგად, დაიხურა მე-3 საჯარო სკოლა და 600 მოსწავლეს რაიონის სხვა სკოლებში გადანაწილდა. იმის გარდა, რომ ამ გადაწყვეტილების შედეგად ბავშვებს უწევდათ სკოლაში ტრანსპორტით სიარული - ეს იყო დამატებითი ხარჯი მშობლებისთვის, რომლებსაც ბავშვები სკოლაში თავად დაჰყავდათ. სწორედ ამიტომ, 300 ბავშვის მშობელმა ერთიანი განცხადებით მომმართა, სადაც ისინი სკოლის აღდგენაში დამხარებას მთხოვდნენ. ეკონომიკისა და განათლების სამინისტროსთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად, მიღებულ იქნა მე-3 სკოლის აღდგენის გადაწყვეტილება და უკვე დაწყებულია მშენებლობა. სულ მალე, ჩუღურეთის რაიონს ახალი, თანამედროვე სტანდარტების სკოლა დაამშვენებს.
- რაიონში 2 894 იძულებით ადგილნაცვალი პირია (919 ოჯახი). გვაქვს 23 კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტი, სადაც იძულებით ადგილნაცვალ პირებთან ერთად სოციალურად დაუცველებიც წლებია ცხოვრობენ. მათ აქვთ ფართების დაკანონების პრობლემა, რომლის გარეშეც ვერ ახერხებენ ელემენტარული კომუნიკაციების გაყვანას. ჩვენ დავიწყეთ დაკანონების პროცესი. საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილება. ცაიშის #36 ნომერში მცხოვრები მოქალაქეებისთვის ფართების დაკანონების შესახებ. სულ მალე დაიწყება აღსრულების პროცესი. დაკანონების საკითხებზე მუშაობას მომავალ წლებშიც გავაგრძელებთ.
- თბილისის მერიასთან და თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოსთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ჩიტაიას 6 ნომერში, გავხსენით ახალი 69-ე საბავშვო ბაღი. უკვე დაწყებულია სამუშაოები პალიასტომის ქუჩაზე, სადაც სულ მალე ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნება. ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყება იგეგმება ასევე ნინოშვილის ქუჩაზეც.

სამომავლო გეგმები

როგორც იცით, წლევანდელ თვითმმართველობის არჩევნებში უკვე მეორედ გავხდი თბილისის საკრებულოს წევრი და ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი. ვფიქრობ, ეს არის ორმაგი პასუხისმგებლობა რაიონის დეპუტატი მეორედ იყო.

მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის შესაძლებლობა მოაგვარო ყველა ის პრობლემა, რომელიც ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. ჩვენი მიზანია ეტაპობრივად მოწესრიგდეს რაიონის ინფრასტრუქტურა, ეკონომიკის სტიმულირებით შეიცვალოს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ის ტურისტებისა და ადგილობრივებისათვის უფრო მიმზიდველ რაიონად იქცეს. ამისათვის მომავალ წლებში ვაპირებთ შემდეგი პროექტების განხორციელებას:

- გავაგრძელებთ ავარიული სახლების ეტაპობრივ რეკონსტრუქციას მანამდე, სანამ ყველა მათგანს არ მოვიცავთ.
- გავაგრძელებთ დევნილებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი ფართების დაკანონების საკითხებზე მუშაობას.
- მოვახდენთ ფიროსმანის ქუჩის ეტაპობრივ რეაბილიტაციას, რის შემდეგაც ჩვენს რაიონს კიდევ ერთი ტურისტული კერა შეემატება, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ამ ქუჩასა თუ მის შემოგარენში.
- გავაგრძელებთ სოციალურად შეჭირვებული ადამიანების მხარდაჭერას და მათი პრობლემების მოგვარებას.
- შშმ პირებისათვის საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.
- ხუდადოვის ტყეში დიდ სარეკრეაციო ზონის მოწყობა.
- ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობისა და არსებულის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
- ხელს შევუწყობთ და განვახორციელებთ კულტურულ-შემეცნებით პროექტებს ახალგაზრდებისათვის.
- ახალგაზრდული კომპლექსებისა და მედიათეკის მშენებლობა.

პატივისცემით,

რამიწა (რიმა) ბერაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარე, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.